H4H დასაქმების პორტალი

HR პროფესიონალთა ასოციაციის | HRPA • Georgia-ს მიერ ორგანიზებული სოციალური კამპანია „H4H - Humans for Humans | ადამიანები - ადამიანებისათვის“ HR პროფესიონალებისა და ბიზნეს სუბიექტების სხვა წარმომადგენლების მხარდასაჭერად შეიქმნა.

H4H კამპანიის ძირითადი მიზანია, გაზიარდეს ცოდნა და წარმატებული გამოცდილებები დასაქმების ხელშეწყობის პარალელურად.

ამ მიზნების განსახორციელებლად, კამპანია აერთიანებს უკვე 200-მდე ორგანიზაციასა და ექსპერტს, რომლებიც აზიარებენ ინფორმაციას ვაკანსიებისა და კანდიდატების შესახებ ან/და მათ ექსპერტიზას სხვადასხვა სფეროში.

დღეის მდგომარეობით, კამპანიის შემქმნელი პროფესიონალი გუნდის დამსახურებით, კამპანიის ფარგლებში წარმატებით ფუნქციონირებს H4H People Transfer - ადამიანების ტრანსფერის მოდელსა და B2B პრინციპებზე აგებული - დასაქმების ხელშეწყობის პლატფორმა, რომელიც კომუნიკაციის ახალ კულტურას ამკვიდრებს HR პროფესიონალებში. დასაქმების პლატფორმის ეფექტური გაციფრულება შედგა კომპანია ASSECO Georgia - სთან თანამშრომლობით! ის მხარეებს პლატფორმაზე წვდომას სრულიად უსასყიდლოდ სთავაზობს.

აღნიშნული ციფრული პლატფორმია უნიკალურია რადგან:

- **შემოაქვს სრულიად ახლებური კომუნიკაციის სისტემა და კულტურა,** რაც ორგანიზაციებსა და HR-ებს შორს კოლაბორციის მეშვეობით ეხმარება ორგანიზაციებს ბიზნეს უწყვეტობის შენარჩუნებაში და უზოგავს ახალი თანამშრომლის შერჩევისათვის საჭირო დროს, თანხებს.
- **ქმნის ერთიან დახარისხებულ ბაზას, რომელსაც მართავს პროფესიონალი გუნდი.** ბაზაში დაცულია თითოეული პირისა თუ ორგანიზაციის ინტერესები და მონაცემები,

ამ ინოვაციური პლატფორმის დახმარებით კი ვქმნით ახალ რეალობას, სადაც HR პროფესიონალები მაქსიმალურად ოპერატიულად და ხარისხიანად მართავენ კრიზისებს პანდემიით დაზარალებული თანამშრომლების დასასაქმებლად.

“დასაქმებების ხელშეწყობის პლატფორმა” იშლება 4 მიმართულებად:

I მიმართულება “დონორი ორგანიზაციებისთვის”

ორგანიზაცია, რომელიც ზრუნავს იმ თანამშრომლებზე, რომელთაც ობიექტური მიზეზების გამო შეუწყდა შემოსავალი (შეუჩერდა ან შეწყდა საქმიანი ურთიერთობა). აღნიშნული პლატფორმის მეშვეობით, მაღალი კორპორაციული პასუხისმგებლობის მქონე მსურველ ორგანიზაციებს შეუძლიათ ჩაერთონ როგორც დონორი, მაშასადამე შესაძლებლობა აქვთ:

- **დაარეგისტრირონ თავისი კოლეგა.**
- **მოიწვიონ საკუთარი კოლეგა**, რომელიც თავად გაივლის რეგისტრაციას.
- **სრულად მოგვაწოდონ ბაზა** იმ კოლეგებთან დაკავშირებით, რომლებთანაც შეჩერდა/შეწყდა თანამშრომლობა.

მოწოდებული ინფორმაცია განთავსდება ბაზაში, რომელზეც წვდომა ენიჭება მხოლოდ იმ კომპანიებს, რომლებიც საკუთარი ვაკანსიებით არიან ჩართული კამპანიაში რეციპიენტ (დამსაქმებელ) კომპანიებად. დამსაქმებელი კომპანიები დაინტერესების შემთხვევაში დონორი კომპანიის კოლეგებს პირადად დაუკავშირდებიან.

II მიმართულება "რეციპიენტი ორგანიზაციებისთვის"

ორგანიზაცია, რომელიც მზადაა დაასაქმოს ადამიანები სხვადასხვა პოზიციაზე დროებით ან მუდმივად. აღნიშნული პლატფორმის მეშვეობით, მათ საშუალება აქვთ გააზიარონ ვაკანსიები და ხელი შეუწყონ ადამიანების დასაქმებას. ასეთი ორგანიზაციების როლი ამ კამპანიაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მათი დახმარებითაა შესაძლებელი შემოსავლის გარეშე დარჩენილი ადამიანების დასაქმება.

რეციპიენტ ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ:

- დაარეგისტრირონ არსებული ვაკანსიები.
- განსაზღვრონ სპეციალური მოთხოვნები და კრიტერიუმები.
- უმარტივესად მოახდინონ მონაცემთა ერთიანი ბაზიდან კანდიდატების სორტირება.
- დაუკავშირდნენ კანდიდატებს სისტემის სხვადასხვა მოქნილი საკომუნიკაციო არხით.

III მიმართულება - „რეკრუტინგული ორგანიზაციებისთვის"

HR პროფესიონალები და რეკრუტინგული ორგანიზაციები, რომლებიც მზად არიან, გაუზიარონ იმ ადამიანების შესახებ მონაცემები, რომლებმაც COVID-19-ის მიზეზით დაკარგეს სამუშაო ან შეუწყდათ შემოსავალი. მათ მიერ მოწოდებული მონაცემები ინტეგრირდება კამპანიის ფარგლებში შექმნილ მონაცემთა ერთიან ბაზაში. ამგვარად ისინი ხელს უწყობენ ადამიანების დასაქმებას და რაც მთავარია, საკუთარი კონტრიბუციით ხდებიან ერთიანი საკომუნიკაციო ჯაჭვის ეფექტური რგოლი.

IV მიმართულება - „სამუშაოს მაძიებელთათვის"

ინდივიდულური პირები, რომელმაც COVID-19-ის მიზეზით დაკარგეს სამსახური. მათ შესაძლებლობა ეძლებათ ყოველგვარი შუამავალი რგოლის გარეშე მიმართონ კამპანიას, დარეგიტრირდნენ სპეციალურ ბაზაში და მიაწოდონ ინფორმაცია დამსაქმებელ ორგანიზაციებს, რაც მისი დასაქმების შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად ზრდის! მონაცემთა ერთიან ბაზაში არსებული მონაცემები ყოველდღიურად მუშავდება კომპეტენტური გუნდის მიერ და ხდება ამ მონაცემების დადგენა ვაკანსიების შესაბამისად განსაზღვრულ კონკრეტულ მოთხოვნებთან. იმ შემთხვევაში, თუ პირის მონაცემები შეესაბამება კონკრეტულ ვაკანტურ პოზიციებზე არსებულ მოთხოვნებს, დამსაქმებელი ორგანიზაციის HR ან კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენელი პირადად უკავშირდება ინდივიდუალურ პირს, მოწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის გათვალისწინებით.

აღნიშნული დასაქმების პლატფორმა არის ის წარმატების ისტორია, რომელიც სწორედაც **#ერთად**, პროფესიონალიზმისა და უწყვეტი ძალისხმევის მეშვეობით შექმნეს HRPA Georgia-ს წევრებმა!